ხელშეკრულება №02-01/75
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთი მხრივ, ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის - დავით დიასამიძის სახით და მეორე მხრივ ინდ.მეწარმე რევაზ დიდმანიძე (ს/კ:61001013735) შემდგომში „მიმწოდებელი”, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ ბათუმის საბაშვო ბაღების გაერთიანებასა და შპს “გურიამშენს“ შორის, აუქციონის გარეშე გამოცხადებული **NAT230008998** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად 2023 წლის 15 მაისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული N02-01/70 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაქვემდებარებაში არსებული N2, 3, 4, 5, 12, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 32 საბავშვო ბაღებში არსებული ცენტრალური გათბობის ქვაბების (ბოილერების) სარეკონსტრუქციო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვის ტექნიკური ზედამხედველობა **(CPV – 71240000)** (შემდგომში - „მომსახურება“);

1.2 კონკრეტულ შემთხვევაში სამუშაოთა დასახელება, მოცულობა და სხვა პარამეტრები განისაზღვრება შემსყიდველის მიერ სარემონტო სამუშაოების განხორციელების დროს არსებული შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით, რომელსაც შემსყიდველი გადასცემს მიმწოდებელს და განუსაზღვრავს საზედამხედველო სამუშაოთა მოცულობას, ღირებულებასა და შესაბამის ობიექტებს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **2700.00** (ორი ათას შვიდასი) ლარს.

2.2 ფაქტობრივად გადასახდელი საფასური შეადგენს ფაქტობრივად შესრულებული საზედამხედველო სამუშაოების 1,5%-ს;

2.3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო;

3.2. ვალუტა: ეროვნული ვალუტა (ლარი);

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება, საბოლოო მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადასი;

3.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. გაწეული მომსახურების მიღება ფორმდება სამუშაოს საბოლოოდ შესრულების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტით და დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. ა(ა)იპ ბათუმის საბაშვო ბაღების გაერთიანებასა და შპს “გურიამშენს“ შორის, აუქციონის გარეშე გამოცხადებული NAT230008998 ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად 2023 წლის 15 მაისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული N02-01/70 ხელშეკრულებით განსაზღვრულ ობიექტებზე;

5.2 ა(ა)იპ ბათუმის საბაშვო ბაღების გაერთიანებასა და შპს “გურიამშენს“ შორის, აუქციონის გარეშე გამოცხადებული NAT230008998 ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად 2023 წლის 15 მაისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული N02-01/70 ხელშეკრულების სრულად შესრულებამდე;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

6.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.1.2. მომსახურების გაწევის დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.1.3. არ აითვისოს სრულად ხელშეკრულებით განსაზღვული მომსახურების სრული მოცულობა.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.2.2. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ჩაბარება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

6.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.4.2. გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე განხორციელებული სამუშაოების ხარისხის კონტროლს.

7.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

7.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს დირექტორის მოადგილე საფინანსო–სამეურნეო დარგში– მამუკა ცხვარაძე

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები . იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. სტანდარტები

8.1 ხელშეკრულების ფარგლებში სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სტანდარტებს

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 მიმწოდებლის მიერ ამ ხელეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02% -ის ოდენობით.

10.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.2 მიმწოდებლს, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 5%-ის ოდენობით;

10.3 მიმწოდებლს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით.

12.2 შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

12.3 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის განზრახვის შესახებ.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

14.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ კვალიფიციური ელეტრონული ხელმოწერისთანავე ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმებისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრამდე;

16. მხარეთ რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“

მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N81

საიდენტიფიკაცო კოდი: 445 393 510

სახელმწიფო ხაზინა

TRESGE22

ა/ნ 740737005

მიმწოდებლი:

ი.მ რევაზ დიდმანიძე

მის: ქ. ბათუმი, პუშკინის 138, ბ16/17

საიდენტიფიკაცო კოდი: 61001013735

სს ლიბერთი ბანკი

ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ნ GE63LB0111160494116000

მობ: 595 90 31 22

Email: rezo.didmanidze@mail.ru

დავით დიასამიძე

რევაზ დიდმანიძე

Revaz Didmanidze 61001013735

Digitally signed by Revaz Didmanidze
Date: 2023.05.17 11:11:59

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ - ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების დაქვემდებარებაში არსებული N2, 3, 4, 5, 12, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 32 საბავშვო ბაღებში არსებული ცენტრალური გათბობის ქვაბების (ბოილერების) სარეკონსტრუქციო-სამონტაჟო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების შესყიდვის მიზნით, ინდ. მეწარმე რევაზ დიდმანიძესთან 2023 წლის 17 მაისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02-01/75 ხელშეკრულების ზედამხედველობის პროცესში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი - დავით დიასამიძე